ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
სკოლა- გიმნაზია

„გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი ა“
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს
სხდომაზე რექტორის, მარგვეთისა და
უბისის ეპარქიის ეპისკოპოსის
მელქისედეკის (ხაჩიძე) მონაწილეობით

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
სკოლა-გიმნაზიის რექტორის, მარგვეთისა
და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსის
მელქისედეკის (ხაჩიძე) მიერ:
ბრძანება #14/2 (11 სექტემბერი, 2025 წელი)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის საშუალო საფეხურის სასკოლო-სასწავლო გეგმა - 2025-2026 სასწავლო წელი

ხარაგაული - 2025 წელი

საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

არაფორმალური განათლება - არის სწავლების მიდგომა, რომელიც სცდება ტრადიციულ, ფორმალურ საკლასო გარემოს;

ზოგადი განათლება – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები - გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც ყველა საგანში შეძენილი ცოდნა უნდა ემსახურებოდეს;

სასკოლო სასწავლო გეგმა – სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;

ექსტერნატი – პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

თემატური საკვანძო შეკითხვები - აკავშირებს სასწავლო თემას/თემატურ ბლოკს, საკითხებს სტანდარტის შედეგებთან. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს; მათი ფუნქციაა: მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა; თემატურ საკვანძო შეკითხვებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს;

ინკლუზიური განათლება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;

კურიკულუმი - მოსწავლის განვითარების გზა დასახული მიზნისკენ, ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, მოვლენა და ყველა ტიპის

ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში.

კლასი – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს;

რემედიაცია - არის სწავლაში ხარვეზების აღმოფხრაზე ორიენტირებული სწავლება,რომელიც ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდათ ცოდნის და უნარ-ჩვევების მნიშვნელოვანი ხარვეზები განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით;

მკვიდრი წარმოდგენები – განისაზღვრება თემების მიხედვით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მან თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა შეძლოს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად;

სასწავლო თემები - წარმოადგენს სასწავლო ერთეულს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება შედეგები და ცნებები;

საგნის სწავლა-სწავლების მიზნები - აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი ჯგუფის მიზნებს კერძო საგნის კონტექსტში;

საგნობრივი ჯგუფის მიზნები - აზუსტებს და აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს საგნობრივი ჯგუფის სფეროს ფარგლებში. საგნობრივი ჯგუფის მიზნების განხორციელებას ემსახურება საგნობრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები;

საგნობრივი სტანდარტი - განსაზღვრავს ცოდნის სავალდებულო მინიმუმს, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე საფეხურის ბოლოს. იგი პასუხობს შეკითხვებს: რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რა უნდა შეეძლოს მას, რა ღირებულებებით უნდა აღიზარდოს იგი კონკრეტული საგნის ფარგლებში;

საგნობრივი საკითხები - განისაზღვრება სტანდარტის შინაარსის ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები - საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. შედეგები აღიწერება პროცედურული და პირობისეული ცოდნის სახით.

სწავლა-სწავლება, ისევე როგორც შეფასება, იგეგმება და განხორციელდება შედეგებზე დაყრდნობით;

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები – თემატური საკვანძო შეკითხვებისგან განსხვავებით სავალდებულო ხასიათისაა და განსაზღვრავენ ვექტორებს, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს;

სტანდარტის შინაარსი - განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულოცნებების, სასწავლო თემების/თემატური ბლოკების/ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით;

შეფასების ინდიკატორები - გამომდინარეობს შედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის თემაში რეალიზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის;

შემაჯამებელი/კომპლექსური დავალება - განისაზღვრება თემების მიხედვით დაწარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას;

ცნებები - საგნის სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი ამ საგნის ძირითად ცნებათა სისტემაა. ცნებები შედეგის განუყოფელი ნაწილი და სასწავლო პროცესის მიზნობრივი ორიენტირია. ცნების სწავლა-სწავლება მოიცავს მის სამ სტრუქტურულ ელემენტს: ტერმინს (ცნების აღმნიშვნელი სიტყვა), ცნების შინაარსს (ცნების განმსაზღვრელი, არსებითი ნიშან-თვისებები) და ცნების მოცულობას (მაგალითების/შემთხვევების სიმრავლე, რომლებსაც ეს ნიშან-თვისებები მიესადაგება);

ცოდნა - ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიულის - თეორიების, ფაქტების, წესების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. სტატიკური ხასიათისაა და უპასუხებს შეკითხვას: რა ვიცი?, პროცედურულის - ქმედების/ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების/პროცედურების დონეზე. დინამიკური ხასიათისაა, აღიწერება, როგორც უნარი და უპასუხებს შეკითხვას: როგორ გავაკეთო?/როგორ შევასრულო?, პირობისეულის - დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას. უპასუხებს შეკითხვებს: როდის, რა შემთხვევაში? რატომ? ერთიანობა, რომელიც სამი ტიპის შეკითხვას

პასუხობს: რა ვიცი? როგორ შევასრულო? როდის, რატომ, რა შემთხვევაში გამოვიყენო?

წლიური პროგრამა - გვიჩვენებს სასწავლო პროცესში საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების რეალიზების გზებს. სტანდარტისგან განსხვავებით, წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

თავი I. ზოგადი დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

სასკოლო სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელსაც სკოლა შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მისი საშუალებით აღიწერება „გზა“, რომელსაც სკოლა-გიმნაზია მოსწავლეს სთავაზობს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სკოლა-გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა-გიმნაზიის მისიას. მისიის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ: რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, საგნობრივი კათედრები, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმას განიხილავს პედაგოგიური საბჭო რექტორის მონაწილეობით და ამტკიცებს რექტორი.

დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლა-გიმნაზიის პრიორიტეტები, მიზნები, სწავლის შინაარსი, მოსწავლის შეფასების სისტემა, სწავლის შედეგები და სხვა. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და სასწავლო რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გამოყენებული სწავლის მეთოდები მორგებულია თითოეული მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფებისა და მთელი კლასის საჭიროებებზე, რომელთა მეშვეობითაც სკოლა-გიმნაზია შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. სკოლა-გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, საკითხების საფუძვლიანად განხილვას. სკოლა-გიმნაზიაში უზრუნველყოფილია მშვიდი, ეკოლოგიურად სუფთა და საქმიანი სასკოლო სასწავლო გარემო.

სასკოლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია სასკოლო კურიკულუმი, რომელიც იქმნება თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად. კურიკულიმი აზუსტებს ესგ-ს მოთხოვნებს სკოლა-გიმნაზიის სპეციფიკის გათვალისწინებთ და წარმოაჩენს გზას, რომელიც მოსწავლემ, მასწავლებელმა და სკოლამ უნდა გაიაროს ესგ-ს მოთხოვნების შესასრულებლად. განსაზღცრავს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენებს სთავაზობს სკოლა თავის მოსწავლეს ესგ-ს შედეგების მისაღწევად.

სასკოლო კურიკულუმი შედგება ორი ნაწილისგან, კერძოდ:

კონცეპტუალური ჩარჩო - სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები, სკოლა-გიმნაზიის ფილოსოფიაი, სასკოლო პროექტი (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით);

საგნობრივი ნაწილი - საგნის თემა/საკითხი, სამიზნე ცნებები და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები და ასე შემდეგ.

1.1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები

სკოლა-გიმნაზიის ფილოსოფია;
მოსწავლის შედეგების შეფასება;
საგნობრივი კურიკულუმები;
საგანმანათლებლო რესურსი (ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელ.რესურსი);
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;
არაფორმალური განათლება;
ეროვნული სასწავლო გეგმიდან შერჩეული პრიორიტეტული თემები;
სასკოლო პროექტი;
სადამრიგებლო პროგრამა;
საათობრივი ბადე;
სასწავლო წლის კალენდარი;
კათედრები.

1.2.საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა-გიმნაზიის მისიას

2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე რექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია რექტორის მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმის მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა.

სკოლა-გიმნაზიაში საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდება ქართულ ენაზე. სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება მოსწავლის, როგორც პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საუკეთესო საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს 5 ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომელსაც ეყრდნობა სწავლა-სწავლების პროცესი. სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას/შექმნას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და

ორგანიზებას, სწავლის სწავლას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, რომელიც მოიცავს დეკლარატიული - სტატიკური ხასიათის (რა ვიცი?), პროცედურულ - რეალიზებული (როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?), პირობისეულ - არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას, ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას (როდის და/ან რატომ გამოვიყენო) ცოდნას.

თავი II. სკოლა-გიმნაზიის ფილოსოფია

სკოლა-გიმნაზიის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სკოლა-გიმნაზიის მისიაა კონკურენტუნარიანი, პოზიტიური, სწავლისთვის სამოტივაციო გარემოს შექმნა, მოსწავლისათვის მრავალმხრივ და ჰარმონიულ სწავლაში ხელშეწყობა, მართლმადიდებელი ქრისტიანი, შემწყნარებელი, ტოლერანტი, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი, კანონდამცველი მოქალაქის აღზრდა, რომელიც თავის პოტენციალს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

სკოლა-გიმნაზიის ხედვაა - ხელი შეუწყოს მოზარდს კულტურული მემკვიდრეობის, მართლმადიდებლური ღირებულებების შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში, აღჭურვოს სასკოლო სასწავლო გარემო თანამედროვე ტექნოლოგიებითა და გამართული ინფრასტრუქტურით, აღზარდოს განათლებული მომავალი თაობა, დაეხმაროს შეძენილი ცოდნის ქვეყნის მასშტაბით გაზიარებაში. ხელი შეუწყოს სკოლა-გიმნაზიის პერსონალს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში, შექმნას ძლიერი სასკოლო გუნდი, რითაც მომდევნო 7 წლის განმავლობაში შეძლებს სწავლა-სწავლების მაღალი შედეგების მიღწევას.

ღირებულებები

გუნდური მუშაობა;
პასუხისმგებლიანობა;
თანამშრომლობა;
სამართლიანობა/კეთილსინდისიერება;
პროფესიონალიზმი;
თანაგანცდა და თანადგომა;
ღვთისა და მოყვასის სიყვარული.

გუნდური მუშაობა - სკოლა-გიმნაზიისათვის პრიორიტეტია, რომ მისი საქმიანობის დაგეგმვა, წარმართვა, შეფასებაში ჩართული იყოს სასკოლო საზოგადოება და მათ ჰქონდეთ სკოლა-გიმნაზიის განვითარების საერთო ხედვა, რომელიც ორიენტირებული იქნება მისიასა და მიზნებზე;

პასუხისმგებლიანობა - განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ყველა თანამშრომელი ითავისებდეს საკუთარ პასუხისმგებლობას და მაღალი ხარისხით ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა- გიმნაზია

თანამშრომლობა - განათლების ჩართულობის მნიშვნელოვან საფუძვლი და წინაპირობაა, რომელიც ავითარებს სოციალურ და სხვა აუცილებელ უნარებს, დამოკიდებულებებს, ფასეულობებს. თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი პროფესიული მახასიათებელია;

სამართლიანობა/კეთილსინდისიერება - სკოლა პატივს სცემს თითოეული პიროვნების უფლებებს, იცავს გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, ხელს უწყობს ურთიერთგაგებასა და პატივისცემას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის;

პროფესიონალიზმი - ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და კარიერული შესაძლებლობების შეთავაზების გზით;

თანაგანცდა და თანადგომა - ადამიანთა, თანატოლთა მიმართ კეთილგანწყობა, ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა;

ღვთისა და მოყვასის სიყვარული - უმნიშვნელოვანესია სკოლა-გიმნაზიისთვის, ხელს უწყობს მოსწავლეს უყვარდეს მოყვასი, როგორც თავი თვისი.

სკოლის ფილოსოფია

სკოლის მისიაა - კონკურენტუნერიანი, პოზიტიური, სწავლისათვის სამოტივაციო გარემოს შექამნა, მოსწავლისათვის მრავალმხრივ და ჰარმონიულ სწავლაში ხელშეწყობა, მართლმადიდებელი ქრისტიანი, შემწყნარებელი, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი, პასუხისმგებლიანი, კანონდამცველი მოქალას აღზრდა, რომელიც თავის პოტენციალს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

სკოლის ხედვაა - ხელი შეუწყოს მოზარდს კულტერული მემკვიდრეობის, მართლმადიდებლური ღირებულებების შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში, აღჭურვოსსასკოლო სასწავლო გარემოთანამედროვე ტექნოლოგიებითა დაგამართული ინფრასტრუქტურით; აღზარდოს განათლებული თაობა, დაეხმაროს შეძენილი ცოდნის რეალიზებაში, ხელი შეუწყოს, გიმნაზიის პერსონალს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში, შექმნას ძლიერი გუნდი, რითაც მომდევნო 7 წლის განმავლობაში შეძლებს სწავლა-სწავლების

- ✓ გუნდური მუშაობა;
- ✓ პასუხისმგებლიანობა;
- ✓ თანამშრომლობითი ურთიერთობა;
- ✓ კეთილსინდისიერება;
- ✓ პროფესიონალიზმი;
- ✓ თანაგანცდა და თანადგომა;
- ✓ ღვთისა და მოყვასის სიყვარული.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა- გიმნაზია

სვოტ ანალიზი

SWOT

ძლიერი მხარეები

1. თანამედროვე სტანდარტებს მორგებული ეკოლოგიურად სუფთა და კეთილგანწყობილი სასკოლო სასწავლო გარემო;
2. მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებში;
3. მასწავლებელთა პროფესიონალიზმი;
4. მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისების სისტემა;
5. მოსწავლეთა უნიფორმა;
6. თანამედროვე სასწავლო რესურსები - ჭკვიანი დაფები;
7. მოსწავლეთა უფასო საგანმანათლებლო მომსახურება;.
8. მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება.

სუსტი მხარეები

1. დაფინანსების სიმწირე;
2. აღმზრდელ მასწავლებელთა უფასო გადამზადების ტრენინგებში ჩართულობის მცირე შესაძლებლობა;
3. ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმისწარმოება;
4. ადამიანური რესურსების სიმწირე.

შესაძლებლობები

1. მოსწავლეთა პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა
2. პერონალის მოტივაცია;
4. პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება;
5. თანამშრომლობითი ურთიერთობის გაძლიერება;
6. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
7. პერსონალის გადამზადება.

საფრთხეები

1. დასაქმებული კადრების გაუთვალისწინებელი მობილობა/დენადობა საჯარო სკოლებში;
2. მიგრაციის გამო, მოსწავლეთა კონტიგენტის შემცირება;
3. ადეკვატური საკადრო პოლიტიკის გატარების სირთულე - გენდერული ბალანსის დარღვევა;
4. მშობელთა მხრიდან ჩართულობის დეფიციტი.

თავი III. საორგანიზაციო/საერთო კულტურა

მუხლი 3.1. სკოლა-გიმნაზიის საორგანიზაციო კულტურა

სკოლა-გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობა ორიენტირებულია/მიმართულია სკოლა-გიმნაზიის საერთო კულტურის ამაღლებაზე. სკოლა-გიმნაზია მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობითა და ხელშეწყობით უზრუნველყოფს საგნის/საგნების ხარისხიანად სწავლა-სწავლებას, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელებას. კერძოდ: საგნის/საგნების სწავლა-სწავლების ხარისხის ზრდას ემსახურება სასკოლო ტურები, სასკოლო ოლიმპიადები, კლასიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზება, ლიტერატურული ღონისძიებები, კლუბური მუშაობა. სკოლა-გიმნაზია აქტიურადაა ჩართული განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სხვა უწყებების მიერ ინიცირებულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში.

სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებში, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა.

სკოლა-გიმნაზიაში სასკოლო საზოგადოებისათვის შექმნილია შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო, ერთობლივი ძალებით იმართება შემოდგომის ფესტივალი და სხვადასხვა ღონისძიება.

სკოლა-გიმნაზიისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება და სამოქალაქო ჩართულობა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმში.

ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ემსახურება სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული და განსახორციელებელი სასწავლო და შემეცნებითი ექსკურსიები, ღონისძიებები, კონფერენციები, კომპლექსური/შემაჯემებელი დავალებები. მოსწავლეები, თემატურად, საგნების გათვალისწინებით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოგზაურობენ, ეცნობიან ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს, ამათუიმ კუთხეებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ასპექტებს, ამზადებენ პრეზენტაციებს.

სკოლა-გიმნაზიაში ყოველწლიურად დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებას. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას ემსახურება ვიდეომონიტორინგის კამერა და ღამის დარაჯები, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. სპეციალისტები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, მოსწავლეებს პერიოდულად ჩაუტარებენ სიმულაციურ გაკვეთილებს, გააცნობენ სკოლა-გიმნაზიის უსაფრთხოების დაცვის წესსა და პირობებს, სადაც ყურადღება გამახვილდება უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებზე, განხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები.

სკოლა-გიმნაზია სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, კლასგარეშე ღონისძიებებით და საკლუბო აქტივობებით (მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით) ხელს უწყობს შიდა ორგანიზაციული კულტურის განვითარებას, რაც გულისხმობს სკოლა-გიმნაზიის საერთო ღირებულებების გაზიარებას და სასკოლო აქტივობებში მაღალ ჩართულობას:

ა)ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას სასკოლო საზოგადოებში;

ბ)სკოლა-გიმნაზიის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;

დ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;

ე)კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას;

ვ)კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას.

3.2. სკოლა-გიმნაზიის სასკოლო პროექტი

სკოლა-გიმნაზიამ 2025-2026 სასწავლო წელს, ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პრიორიტეტული თემებიდან სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მისიის, ხედვის და ღირებულებების გათვალისწინებით შეარჩია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სასკოლო პროექტი თემაზე: ,,ჩვენი საგანძური: ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია".

3.3. პრიოტიტეტული თემა და მისი მნიშვნელობა

პროექტის ,,ჩვენი საგანძური: ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია" მთავარი მიზანია მოსწავლეებში ეროვნული იდენტობის, კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ცნობიერების გაძლიერება, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

პროექტი ასწავლის სხვადასხვა კულტურული ტრადიციებისადმი პატივისცემას, რაც ხელს უწყობს კულტურათშორისი დიალოგის უნარების განვითარებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ.

პროექტი ხელს შეუწყობს კულტურულ დაწესებულებებთან და თემის წარმომადგენლებთან კავშირის გამყარებას, პროექტის პოპულარიზაციისთვის ახალი ინიციატივების შემუშავებას.

ეს კავშირები აჩვენებს, თუ როგორ შეესაბამება პროექტი ზოგადი განათლების ეროვნულ სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. პროექტი არა მხოლოდ ცოდნას გადასცემს, არამედ ავითარებს მნიშვნელოვან უნარებსა და ღირებულებებს, რაც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებაში წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

სასკოლო პროექტები ფორმალურ განათლებაში განხორციელდება კომპლექსური დავალებების შესრულებით, სადამრიგებლო პროგრამებსა და კათედრის სამოქმედო გეგმებში ჩაშენებული აქტივობების განხორციელებით, ხოლო არაფორმალურ განათლებაში - სპორტული, წრეობრივი და კლუბური აქტივობებით (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით). დაგეგმილი პროექტები განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

სასკოლო პროექტზე მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკვანძო საკითხები:

რამდენად ორიენტირებულია სასკოლო პროექტი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;

რამდენად ორიენტირებულია პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებასთან/ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე;

უწყობს თუ არა პროექტი ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;

რამდენად გამოკვეთს პროექტი ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;

რამდენად ითვალისწინებს პროექტი სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;

რამდენად ავითარებს პროექტი თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს;

რამდენად ითვალისწინებს სასკოლო პროექტი ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტს;

რამდენად აქვს ყველა მოსწავლეს თანაბრად ჩართვის შესაძლებლობა;

რამდენად მოიაზრებს პროექტის იდეა და შედეგები კავშირს სკოლა-გიმნაზიის განვითარებასთან.

თავი IV. სწავლა-სწავლების პროცესი ფორმალური განათლება

მუხლი 4.1. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება. მათ შორის ჯანსაღი უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების აღმოჩენისა და გამოსავლის ძიების, ამოცანის დასმისა და გადაჭრის,

არგუმენტებისა და მსჯელობა-დასაბუთების, შეფასების, წარდგინება-პრეზენტაციის და სხვა. შესაბამისად მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს.
მათ შორის:

აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება;
პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება;
აღმოჩენის გზით სწავლება;
თანამშრომლობის გზით სწავლება;
პრაქტიკული სწავლება;
გამოცდილებაზე დამყარებული სწავლება.

ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს.
სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ სასკოლო სასწავლო გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს. განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მისაცემად სკოლა-გიმნაზია ზრუნავს, მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას. მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას.
მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, მის საჭიროებაში, კავშირს სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე საქმიანობასა და გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის. სკოლა-გიმნაზია უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს, ამავე დროს უზრუნველყოფს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

თავი V - სასწავლო წლის კალენდარი, დღის რეჟიმი - სწავლის დაწყება, დამთავრება, არდადეგები

მუხლი 5.1. სასწავლო წლის კალენდარი

2025-2026 სასწავლო წლის სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 სემესტრით, სასწავლო კვირა 5 დღიანია, საჭიროების შემთხვევაში დაშვებულია 6 დღიანი სწავლებაც (კერძოდ საათობრივი ბადის განტვირთვისა ან/და საათების დანაკლისის შესავსებად, ასევე ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში).

ობიექტური მიზეზების გამო, სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

2025-2026 სასწავლო წელი იწყება 2025 წლის 15 სექტემბერს და მთავრდება 2026 წლის 15 ივნისს.

I სემესტრი იწყება 2025 წლის 16 სექტემბერს, მთავარდება – 2025 წლის 29 დეკემბერს;

II სემესტრი იწყება 2026 წლის 15 იანვარს, მთავრდება 2026 წლის 15 ივნისს.

სასწავლო წელი XI–XII კლასებისათვის მთავარდება 2026 წლის 15 ივნისს, გამონაკლისი დაიშვება ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევაში.

სემესტრის დაწყება-დამთავრებისა და არდადეგების ხანგრძლივობის შესახებ თარიღის დადგენისას სკოლა-გიმნაზია ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციებსა და საქართველოში მოქმედ შრომის კოდექსს.

5.2. 2025-2026 სასწავლო წლის დაწყება-დამთავრების და არდადეგების ხანგრძლივობა

2025-2026 სასწავლო წლის დაწყება				2025-2026 სასწავლო წლის დამთავრება			
2025 წლის 15 სექტემბერი				2026 წლის 15 ივნისი			
სასწავლო დღეები და არდადეგები							
№	სემესტრი	სასწავლო დღეების რაოდ.	კლასები	სულ სასწავლო დღეები	არდადეგები		სასწავლო შაბათი დღეები
					დაწყება	დამთავრება	
1	I	75	XI და XII	75	**29.12.2024**	**15.01.2025**	საჭიროებისამებრ
2	II	82	XI და XII	85/78			
XI და XII კლასები							
1	I	74	XI და XII კლასები	170	***სააღდგომო 12.04. 2026***	20.04.2026	საჭიროებისამებრ
2	II	95	XI და XII კლასები		***15.06.2025***	**სექტემბერი 15.09.2026**	

შენიშვნა: სკოლა-გიმნაზია სარგებლობს საქართველოს შრომის კოდექსით, გათვალისწინებული უქმე დღეებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის რეკომენდაციებით.

5.3. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები - მუხლი 20. უქმე დღეები

უქმე დღეები		
1	1 და 2 იანვარი	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
2	7 იანვარი	უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;
3	19 იანვარი	ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;
4	3 მარტი	დედის დღე;
5	8 მარტი	ქალთა საერთაშორისო დღე;
6	9 აპრილი	საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
7	სააღდგომო დღეები	დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორედღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია); ბრწყინვალე შვიდეული (ორშაბათი-კვირა)
8	9 მაისი	ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
9	12 მაისი	საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
10	26 მაისი	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
11	28 აგვისტო	ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);
12	14 ოქტომბერი	მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
13	23 ნოემბერი	გიორგობა.

5.4. დღის რეჟიმი, გაკვეთილების ხანგრძლივობა, დასვენება

სკოლა-გიმნაზიაში სწავლება ხორციელდება ერთ ცვლაში. სასწავლო პროცესი იწყება 09:00 სთ-ზე. გაკვეთილების ხანგრძლივობა VII-IX კლასებში განსაზღვრულია 40 წუთით გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 5 წუთით, ხოლო დიდი დასვენება განისაზღვრა 15 წუთით.

XI და XII კლასები
გაკვეთილების ხანგრძლივობა - 40 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა – 5 წუთი
გაკვეთილების დაწყება - 09:00

№	**გაკვეთილების**		**დასვენების**	
	დაწყება	**დამთავრება**	**დაწყება**	**დამთავრება**
1	9:00	9:40	9:40	9:45
2	9:45	10:25	10:25	10:30
3	10:30	11:10	11:10	11:25
4	11:25	12:05	12:05	12:10
5	12:10	13:50	13:50	13:55
6	13:55	14:35	14:35	14:40
7	14:45	15:25	15:25	15:30

მუხლი 5.4. მოსწავლეთა რაოდენობა

სკოლა-გიმნაზიის თითოეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრა 10 მოსწავლით, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა - 20-ით.

თავი VI - საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრები

მუხლი 6.1. საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრა

სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის შვიდი კათედრა. თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა ერთი წლის ვადით ხმათა უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ, რომელიც წარედგინება პედსაბჭოს და პედსაბჭოს დადგენილების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს რექტორი, დაიშვება გამონაკლისი კათედრის თავმჯომარის ვადის განსაზღვრისას.

6.2 საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრები და კათედრის თავმჯდომარეები

საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრა და კათედრაზე შემავალი საგნები	კათედრის თავმჯდომარეები
ქართული ენისა და ლიტერატურის - ქართული ენა და ლიტერატურა	ლალი ებანოიძე
მათემატიკის - მათემატიკა, ინფორმატიკა, ჭადრაკი	მანანა კიკნაძე
უცხოური ენების - I უცხოური ენა - ინგლისური, II უცხოური ენა - რუსული	ნინო ხარაძე
საზოგადოებრივი მეცნიერებების - ჩემი საქართველო, ისტორია, მე და საზოგადოება, საღმრთო სჯული, არჩევითი საგნები (ფოლკლორული ანსამბლი, მსოფლიო კულტურა) პროექტი სამოქალაქო განათლებაში, მოქალაქეობა, გეოგრაფია,სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება.	მარინა მუმლაძე
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბუნებისმეტყველება,ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, არჩევითი საგანი - თანამედროვე ფიზიკის შესავალი	დალი ხარატიშვილი
ესთეტიკური აღზრდის - სპორტი/ფიზიკური აღზრდა, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, პროექტული სწავლება ხელოვნება და მუსიკაში.	ვლადიმერ შავიძე

6.3. კათედრის ფუნქციები:

საგნის/საგნობრივი ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია;
გამოცდილების გაზიარება;
სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების შერჩევა;
პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები;
შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
თანამედროვე მიდგომების დანერგვა.

6.4. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

საგნობრივი ჯგუფის სწავლების კოორდინაცია, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დასანერგად;
მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება და შენახვა;
კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
ზრუნვა მასწავლებების პროფესიული განვითარებისათვის;

სახელმძღვანელოების, სხვა სასწავლო რესურსების შერჩევა, რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნების შესახებ;
შეფასების კომპონენტების შემადგენელი კრიტერიუმების შემუშავება და აღწერა;
სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობა;
მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკის შედგენა სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერთან შეთანხმებით და შედეგების განხილვა-შეფასება;
სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება შერეული/სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მონაწილეობით;
კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

6.5. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის ექვსი კათედრა, კერძოდ:

ქართული ენისა და ლიტერატურის - ქართული ენა და ლიტერატურა;
მათემატიკის - მათემატიკა, ისტ, ჭადრაკი;
უცხოური ენების - I უცხოური ენა - ინგლისური, II უცხოური ენა - რუსული;
საზოგადოებრივი მეცნიერებების - ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მე და საზოგადოება, **არჩევითი საგნები** - (ფოლკლორული ანსამბლი, მსოფლიო კულტურა, ფიზიკის შესავალი), მოქალაქეობა, გეოგრაფია, პროექტული სწავლება (სამოქალაქო განათლება), სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საღმრთო სჯული;
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება; არჩევითი საგანი - თანამედროვე ფიზიკის შესავალი;
ესთეტიკური აღზრდის - სპორტი/ფიზიკური აღზრდა, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, პროექტული სწავლება (მუსიკა, ხელოვნება).

6.6. კათედრის მუშაობის ძირითადი პრინციპები

საშუალო საფეხურზე კათედრის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:
კათედრის სხდომები ტარდება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრის პირველ სხდომაზე აირჩევა კათედრის თავმჯდომარე და მდივანი. კათედრები განიხილავენ საგნობრივი პროგრამების შესაბამისად სასწავლო რესურსებს, შეფასების რუბრიკებს, მინიმალური შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებს და სხვა;
ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე ხდება საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობის განხილვა. გამოვლენილი პრობლემის (ასეთის არსებობის შემხვევაში) შეფასება;
დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და კრიტერიუმები, თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები;
მოსაწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან/და შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა;
წარმოდგენილი შემაჯამებელი და კომპლექსური წერების ანალიზზე დართული მასწავლებლის კომენტარი, რომელშიც აღნიშნულია მოსწავლის პროგრესი და რეგრესი კონკრეტულ საგანში, განსაზღვრულია პრობლემა და მითითებულია პრობლემის გადაჭრის გზები.

თავი VII - სადამრიგებლო პროგრამა

მუხლი 7.1. კლასის დამრიგებელი - სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები

სკოლა-გიმნაზიაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის გაცნობაც ხდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ. სადამრიგებლო პროგრამა ხელს უწყობს სკოლა-გიმნაზიაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო კულტურის ჩამოყალიბებას, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის

დანერგვას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას, განსხვავებული შესაძლებლობისა და უნარების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათი შესაძლებლობების წახალისებას, ზოგადი განათლების ეროვნული პრინციპების განხორციელებას.
დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზების პირველი რგოლი. მისი მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, იგი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება. კლასის დამრიგებელს ნიშნავს და ანთავისუფლებს სკოლა-გიმნაზიის რექტორი.

7.2. დამრიგებლის მუშაობის მიზანი:

დამრიგებლის მუშაობის მიზანია კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა, მათი ჩაბმა სხვადასხვა კლუბსა თუ წრეებში, დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

7.3. დამრიგებელის მოვალეობები:

პიროვნული და მორალური თვისებების ჩამოყალიბება;
გარემოს დაცვითი კულტურის განვითარება;
მოსწავლის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაში ხელშეწყობა;
თვალსაწიერის გაფართოებაში ხელშეწყობა;
მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში, უსაფრთხოების, ძალადობის და ბულინგის პრევენციის გაცნობიერებაში დახმარება;
დამრიგებელი არის შუამავალი რგოლი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, შესაძლო პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში.

დამრიგებელი ვალდებულია:

მშობელს შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შედეგები გააცნოს თვეში მინიმუმ ერთხელ;
მოახდინოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება;
უზრუნველყოს, სასწავლო წლის დასაწყისშივე, მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი მიმღები სკოლა-გიმნაზიისათვის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის (შეფასება, გაცდენების, დახასიათება) მიწოდება;
დაეხმაროს მოსწავლეს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში;
დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, არ დაუშვას მათი დამცირება, ან ფიზიკური შეურაცხყოფა;
მოაწესრიგოს სადამრიგებლო კლასის ოთახი, შეავსოს თვალსაჩინოებით (იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე დააზიანებს სასკოლო ინვენტარს, მოითხოვოს მშობლისგან მატერიალური ზარალის ანაზღაურება);
უზრუნველყოს მოსწავლეთა წახალისება სხვადასხვა კლასგარეშე მუშაობაში მონაწილეობისა და წარმატებების მიღებისას.
დამრიგებელმა მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები გააცნოს ინდივიდუალური შეხვედრების დროს, რა დროსაც იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,
დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. მოსწავლის მიერ გაკვეთილებს გაცდენის შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს გაცდენის მიზეზი, მოიპოვოს ინფორმაცია საგნის მასწავლებლისაგან

სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატების შესახებ. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი, რის საფუძველზეც დაწერს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც აღწერს:
მოსწავლის დადებით მხარეებს, მის წარმატებებს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას არაფორმარული განათლების მიმართულებით, წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში;
მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.
დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის დაბალი ნიშნის –5-ზე დაბალი ქულის შემთხვევაში, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე მოსალოდნელი შედეგების შესახებ, კერძოდ, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესი კლასისა და საფეხური საფეხურის დაძლევისათვის;
დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ და მიაწოდოს ინფორმაცია მოსალოდნელი შედეგების შესახებ, კერძოდ: 30% გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის ფორმით გამოცდების ჩაბარება.
კლასის დამრიგებელმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ხელთ არსებული რესურსები: ადამიანური, და მატერიალური, ზოგ შემთხვევაში ფინანსურიც (რექტორის მიმართვის შემდეგ), მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
დამრიგებელმა სასწავლო წლის დასაწყისში უნდა შეადგინოს სამოქმედო/სამუშაო და ღონისძიებების გეგმა, გაითვალისწინოს შიდა სასკოლო სასწავლო შემეცნებითი, სპორტული, კლუბური აქტივობების ღონისძიებები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გაიცნონ თანატოლები, დაამყარონ მათთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობები.

7.4. დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება აღზრდის მთლიანობის პრინციპს:

სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მიზანია ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;
შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდა;:
ყველა ბავშვი განსხვავებულია. ისინი დაჯილდოვებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
მოსწავლეთა მხარდაჭერა;
ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას. დამრიგებელმა, მოსწავლეთა მხარდაჭერის/ჩართულობის ხელშესაწყობად, მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა.) დადეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.
თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

7.5. სადამრიგებლო საათის სასაუბრო მიმართულებები:

სადამრიგებლო საუბრები, სადამრიგებლო საათი, შესაძლოა შედგეს როგორც კლასში/სკოლაში, ისე სკოლა-გიმნაზიის გარეთ, მაგ. ექსკურსიაზე ან/და სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებზე.
სადამრიგებლო საათი სამივე საფეხურზე უნდა ჩატარდეს ორ კვირაში ერთხელ. მათი ჩატარება რეკომენდებულია კვირის ბოლოს, რათა მოხდეს განვლილი სასწავლო კვირის შეფასება და შეჯამება.
ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა-გიმნაზიის კლასის დამრიგებლები - 2025-2026 სასწავლო წელი.

7.6. კლასის დამრიგებლები

1	მარინა მუმლაძე	
2	დალი ხარატიშვილი	X I
3	ნინო ხარაძე	X II

თავი VIII - დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

მუხლი 8.1. გახანგრძლივებული ჯგუფი/ჯგუფები

საშუალო საფეხურზე მშობელთა მიერ არ არის მოთხოვნა სკოლა-გიმნაზიაში გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურებაზე.

თავი IX. გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობისა სამინისტროს რეგულაციებისა და რეკომენდაციების მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (ბრძანების №05/ნ; 06 იანვარი, 2012 წელი). ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის N20.04.05.2005; მუხ.143; მუხლი 33^2. (კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ) 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების დაცვით და სკოლა-გინაზიის რექტორის ბრძანებით (#02/2; 09.09.2024 წელი).

9.1. გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

XI-XII კლასებში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში, მოსწავლის შესაბამის კლასში ჩასარიხცად, მშობელმა/მშობლის კანონიერმა პირმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, ხოლო მოსწავლის სრულყოფილად შევსებული (შეფასება (მიმდინარე/საბოლოო აკადემიური მოსწრების პედაგოგიური დაკვირვების შედეგი, კომენტარები და ინფორმაცია გაცდენებზე) პირადი საქმის საქართველოს ფოსტის მეშვეობით გამოგზავნაზე პასუხისმგებელია გამომგზავნი სკოლა.

მოსწავლის პირად საქმისთვის სავალდებულო დოკუმენტები:

ა) განცხადება რექტორის სახელზე - სასწავლო წლის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში;

ბ) დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული, რომელზეც მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო რეესტრის მიერ მინიჭებული პირადი ნომერი;

გ) ორი ფოტოსურათი - ზომით **3x4** და **CD**;

დ) ჯანმრთელობის ცნობა გადატანილი ინფექციური დაავადების მითითებით;

ე) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

ვ)მშობლის კანონიერი წარმომადგენელის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში, განათლების აღიარების დოკუმენტი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვამდე, სკოლა-გიმნაზიის ჩასარიცხი მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის თავსებადობის დადგენის მიზნით, ჩასარიცხ მოსწავლეს უტარებს გასაუბრებას, ეს პროცედურა სკოლა-გიმნაზიას საშუალებას აძლევს, დაადგინოს მოსწავლის მიერ საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების დაფარვის დონე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისათვის ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა კლასისა და საგნის გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით.

მოსწავლეთა ჩარიცხვა გიმნაზიაში ხორციელდება რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის/ბრძანების საფუძველზე.

გიმნაზიაში ჩარიცხვის შემთხვევაში, დირექცია მოსწავლესა და მშობელს/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს.

9.2 მოსწავლეთა მობილობა გიმნაზიაში

მობილობის შემთხვევაში, მოსწავლისათვის ადგენს საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ იმ სავალდებულო საგნის სტანდარტის შედეგების დაფარვას, რომელიც მას ჯერ არ აქვს გავლილი სკოლაში, საიდანაც გადმოვიდა, ან/და მიმღებ სკოლაში ამ საგნის სწავლება უკვე იყო დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი. თუ მოსწავლეს სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული შეფასება საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, რომელიც დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად, ამასთან, მიმღები სკოლა აფასებს ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე.

მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. გიმნაზია აღნიშნულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით.

გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის (სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლესთან შეთანხმებული ფორმით) შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალება/დავალებების წინასწარ გაცნობას და კონსულტაციების საჭიროებისამებრ ჩატარებას;

- ✓ **მობილობის** გზით გადმოსულ მოსწავლეებს, რომელთაც არ ექნებათ I სემესტრის შეფასება ისეთ საგანში, რომელიც არ ისწავლება II სემესტრში, მას მიეცემა შემაჯამებელი ან/და კომპლექსური ტიპის დავალების შესრულების საშუალება, რის საფუძველზეც მიღებული განმსაზღვრელი შეფასება იქნება საგნის წლიური ქულა;
- ✓ **ექსტერნატის** ფორმით კლასის დაძლევისა და 2025-2026 სასწავლო წლის II სემესტრიდან მომდევნო კლასში ჩარიცხვის შემთხვევაში, ასევე, ის მოსწავლეები, რომლებმაც შეჩერებული სტატუსი აღიდგინეს II სემესტრიდან და არ აქვთ I სემესტრის შეფასება, ყველა საგანში ევალებათ შეასრულონ მინიმუმ ერთი შემაჯამებელი ან/და კომპლექსური ტიპის დავალება, რომლის განმსაზღვრელი შეფასება იქნება წლიური შეფასება;
- ✓ **უცხოეთში** სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, მოსწავლე ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც ვერ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მან უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით ან ინდივიდუალური გეგმით. ინდივიდუალური გეგმის დაძლევა

დადასტურდება ერთ შემაჯამებელი/კომპლექსური ტიპის დავალებაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასებით, რომელიც იქნება საგნის წლიურ ქულა;

პირი, რომელმაც უცხოეთში სწავლის პერიოდში მიიღო ზოგადი განათლება და ვერ დაადასტურებს უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტს, წლიური ქულის გამოყვანის მიზნით:

უნდა აღუდგეს მოსწავლის სტატუსი;

- ✓ 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გაიაროს ესგ-ით განსაზღვრული შესაბამისი კლასის საგნები;
- ✓ სკოლა-გიმნაზიის, 2025-2026 წლის სასწავლო წლის დასრულებამდე ამ მოსწავლეს აძლევს ორ შემაჯამებელ ან/და კომპლექსურ დავალებას და შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეაფასებს მას. სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს წინასწარ გააცნობს (სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლესთან შეთანხმებული ფორმით) შემაჯამებელი კომპლექსური დავალებას/დავალებებს და ჩაუტარებს კონსულტაციებს საჭიროებისამებრ.

ასეთ შემთხვევაში მოსწავლის 2025-2026 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება შემაჯამებელ ან/და კომპლექსურ დავალებებში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკული, რომელიც დამრგვალდება მთელის სიზუსტით.

საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში, კონკრეტული საგნისთვის 2025-2026 სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საგანში წლის განმავლობაში მიღებული მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე, ხოლო თუ მოსწავლეს არ უფიქსირდება საგანში მიმდინარე დავალებების ქულები, შეფასდება ერთი შემაჯამებელი ან/და კომპლექსური ტიპის დავალებაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასების საფუძველზე.

9.3. გიმნაზიაში უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღირება და მოსწავლის ჩარიცხვა

გიმნაზიაში უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღირება და მოსწავლის ჩარიცხვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ➢ გიმნაზიას მშობელი/კანონიერი წარმომადგენენლი მომართავს განცხადებით და წარადგენს მისი შვილის საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს;
- ➢ ამ საბუთების საფუძველზე სკოლა ამზადებს დასკვნას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- ➢ მშობელი წერს განცხადებას, რომ საბუთების აღიარებამდე მოსწავლე მიიღოს სასწავლო პროცესზე დასასწრებად;
- ➢ მშობელი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში დწერსწარადგენს განცხადებას აღიარების შესახებ;
- ➢ აღიარების მიღების შემდეგ იწერება რექტორის ბრძანებით მოსწავლის შესაბამის კლასში ჩარიცხვის შესახებ.

9.4. მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა

მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობისა სამინისტროს რეგულაციებისა და რეკომენდაციების მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (ბრძანების №05/ნ; 06 იანვარი, 2012 წელი). ასევე, ,,ზოგადი

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის N20.04.05.2005; მუხ.143; მუხლი 33[2]. (კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ) 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების დაცვით).

9.5. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში ხელშეწყობა

მოსწავილის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც გავლენას ახდენს მის აკადემიურ წარმატებასა და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. სკოლას აქვს გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის რექტორის ბრძანებით.

1. საორიენტაციო აქტივობები:
   - სკოლის შენობის ტური;
   - გაცნობითი აქტივობები თანაკლასელებთან;
   - სკოლის წესებისა და სასკოლო სასწავლო გარემოს გაცნობა.
2. მშობლების ჩართულობა:
   - რეგულარული შეხვედრები მშობლებთან;
   - მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი ღონისძიებები.
3. სოციალური უნარების განვითარება:
   - ჯგუფური აქტივობები კლასში;
   - კონფლიქტების მოგვარების სწავლება.
4. აკადემიური მხარდაჭერა:
   - დამატებითი საკონსულტაციო საათები;
   - ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში).
5. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა:
   - სკოლის ფსიქოლოგის კონსულტაცია;
   - მოძღვარის საათი.
6. უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა;
   - ანტიბულინგის პოლიტიკა;
   - ინკლუზიური კლასის კულტურის ხელშეწყობა.
7. რეგულარული უკუკავშირი:
   - პროგრესის შეფასება და განხილვა მოსწავლესთან;
   - მიღწევების აღნიშვნა და წახალისება.

9.6. რემედიაცია

რემედიაციის საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადაა გაუწიოს მოსწავლეს სარემედაციო პროგრამით მომსახურება, დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შევთავაზოს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული სკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ–ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე.

კითხვის პრობლემის სარემედიაციო პროგრამის შემთხვევაში, შეძლონ სიტყვის დეკოდირება, სწრაფად ცნობა და გაწაფული კითხვა.

ზემოაღნიშნულ პრობლემის დასაძლევად გიმნაზია გამოიყენებს შემდეგი მეთოდები/ აქტივობები:

- ✓ ფონოლოგიური სავარჯიშოები;

- ✓ „სიტყვაზე შეტევა“;
- ✓ მართული კითხვის აქტივობა;
- ✓ მკითხველთა თეატრი;
- ✓ ნაცნობი ტექსტის განმეორებით კითხვა.

გიმნაზია უზრუნველყოფს სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილების გეგმების შედგენას და გაკვეთილების წარმართვას, პროგრესის მონიტორინგს და შეფასებას, ხოლო შემდეგ საბოლოო შეფასებას.

გიმნაზიაში რემედიაცია განხორციელდება დამატებითი გაკვეთილის სახით. არასაგაკვეთილო დროს (ძირითად გაკვეთილებამდე/შემდეგ) ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად ჩაუტარდება კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებული აქტივობები თავისივე ან სხვა მასწავლებლის მიერ.

თავი X

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა

მუხლი 10.1. საშუალო საფეხურის მისიაა

საშუალო საფეხურის მისიაა საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად

მუხლი 10.2. საშუალო საფეხურის კვირეული დატვირთვა - 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში

№	საგანი	X	XI	XII	სულ XI-XII
	სახელმწიფო ენა				
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	15
	მათემატიკა				
2	მათემატიკა	5	5	5	15
	უცხოური ენები				
4	I უცხოური ენა - ინგლისური	2	2	2	6
5	II უცხოური ენა - რუსული	2	2	2	6
	საზოგადოებრივი მეცნიერებები				
7	ისტორია	2	2	2	6
8	საქართველოს ისტორია	2	2		4
9	გეოგრაფია	2	2	-	4
10	მოქალაქეობა	2	2	-	4
13	პროექტი სამოქალაქო განათლებაში	1	1		2
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები				
15	ფიზიკა	2	2	-	4
16	ქიმია	2	3	-	5
17	ბიოლოგია	2	2	-	4
	ესთეტიკური აღზრდა				
21	ფიზიკური აღზრდა/სპორტი	2	2/1	2	6/5
22	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	-	-	1/0	1/0
	პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში	1			1
24	პროექტი მუსიკაში		1		1
	არჩევითი საგნები				
25	ფოლკლორული ანსამბლი	-	-	2/0	2
26	მსოფლიო კულტურა	2	-	-	2
27	თანამედროვე ფიზიკის შესავალი	-	2	-	2
სულ საათების რაოდენობა		34	36	21/19	90/88

10.3. შემაჯამებელი დავალებები საშუალო საფეხურის XI-XII კლასებში - 2025-2026 სასწავლო წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

გასასწორებელია კლასები და შემაჯამებელი დავალებები ბადის შესაბამისად

№	კალენდარი	X		XI		XII		სულ
		I	II	I	II	I	II	
	სახელმწიფო ენა							
1	ქართული ენა და ლიტერატურა	4	5	4	5	3	4	25
	მათემატიკა							
2	მათემატიკა	4	6	4	6	4	4	28
	უცხოური ენები							
3	I უცხოური ენა-ინგლისური	2	3	2	3	3	2	15
4	II უცხოური ენა-რუსული	2	3	2	3	2	2	14
	საზოგადოებრივი მეცნიერებები							
6	ისტორია	2	3	2	3	1	1	12
7	გეოგრაფია	2	3	2	3	-	-	10
8	სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა)	2	3	2	3	-	-	10
11	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	-	-	-	-	1	-	1
12	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება	-	-	-	-	-	-	
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები							
14	ფიზიკა	2	3	2	3	-	-	10
15	ქიმია	2	3	2	3	-	-	10
16	ბიოლოგია	2	3	2	3	-	-	10
	ესთეტიკური აღზრდა							
20	ფიზიკური აღზრდა/სპორტი	-	-	-	-	-		
	არჩევითი საგნები							
21	თანამედროვე ფიზიკის შესავალი		-	-	-	-	-	
22	ფოლკლორული ანსამბლი	-	-	-	-	-	-	
23	მსოფლიო კულტურა	-	-	-	-	-	-	
	სულ საათების რაოდენობა	24	35	24	35	14	13	145

10.4. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს საპატიო მიზეზით გაცდენის გამო, სკოლა-გიმნაზია მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. აღდგენითი სამუშაო დაინიშნება დირექციის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სამუშაოს შესრულებას დაესწრება საგნის მასწავლებელი და რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. შედგება ოქმი.

საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კათედრების სხდომებზე და თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

საათობრივი ბადე გასასწორებელია თქვენ მიერ განაწილებული საათების შესაბამისად.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

,, შემუშავებულია და განხილულია ''
და სკოლა-გიმნაზიის რეკტორის
მონაწილეობით: მელქისედეკი (ნაჩიმე)
მარგვეთისა და უბისის ეპარქიის
ეპისკოპოსი:
,,—'' ,,————'' 2024 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე – X-XII კლასები
2024-2025 სასწავლო წელი

დამტკიცებულია
ბედ. საბჭოს სხდომაზე
,,- -'' ,,——09——'' 2024 წელი
თავმჯდომარე:

№	მასწავლებლის გვარი, სახელი	საგანი	ორშაბათი								სამშაბათი								ოთხშაბათი							ხუთშაბათი							პარასკევი							სათ. რაოდ.
			1	2	3	4	5	6	7	8	1	2	3	4	5	6	7	8	1	2	3	4	5	6	7	1	2	3	4	5	6	7	1	2	3	4	5	6	7	
1	დეკანოზი პავლე ცერცვაძე	საღვთო სჯული		X			XI																	XII	XI												XII	X		6
2	ლალი ეპანოიძე	ქართ. და ლიტერატურა				XI		X				XI		X						X	XI							X		XI					X	XI				10
3	ლალი ეპანოიძე	არჩევითი							X						X																									2
4	ნინო ნიკაცაძე	ქართ. და ლიტერატურა																																						
5	მარინე ხვედელიძე	ქართ. და ლიტერატურა																																						
6	თინათინ ბოჭორიშვილი	ქართ. და ლიტერატურა	XII									XII							XII								XII						XII							5
7	გია არევაძე	მათემატიკა																																						
8	მანანა კიკნაძე	მათემატიკა	XI	XII			X						X	XI		XII				XI	XII		X			X		XI	XIII				X	XI	XII					15
9	ნინო ბუხნიკაშვილი	მათემატიკა																																						
10	ნინო ბუხნიკაშვილი	ი.ს.ტ.																																						
11	ნანა კახელი	I უცხო ენა- ინგლისური										X	XII				XI									XII	XI			X										6
12	მარიკა გოლუბიანი	I უცხო ენა- ინგლისური																																						
13	ნინო ხარაძე	II უცხო ენა-რუსული													XI		X						XII					XII			XI						X			6
14	ზეინაბ ბუაჩიძე	ისტორია									XII											XII	XI						X				XI	X						6
15	ზეინაბ ბუაჩიძე	საქართველოს ისტორია		XI	X											XI			X											XII						XII				6
16	ზეინაბ ბუაჩიძე	სახ. და გამოყ.ხელოვნება																																						
17	ლია რამინიშვილი	ბიოლოგია				XII		XI			X						XII										X		XI											6
18	ლია რამინიშვილი	ქიმია	X		XI									XII												XI					X	XII								6
19	მარინა მუმლაძე	ისტორია																																						
20	მარინა მუმლაძე	ზვ. საქართველო																																						
21	მარინა მუმლაძე	მოქალაქეობა						XII											IX		X				XII												XI		X	6
22	დალი ხარატიშვილი	გეოგრაფია					XII		XI		XI				XII	X								X																6
23	დალი ხარატიშვილი	ბუნებისმეტყველება																																						
24	ლაურა მანაგაძე	ფიზიკა			XII	X																XI			X									XII	XI					6
25	ვლადიმერ შავიძე	სამ. თავდაც. და უსაფრთხ.																																						
26	ვლადიმერ შავიძე	სპორტი											XI							XII		X									XII						IX			6
27	მზია კუპატაძე	მუსიკა							IX	VII																		VIII		VII	IX									5
28	თორნიკე ბაკურაძე	მუსიკა																																						

10.5. საგანმანათლებლო რესურსები

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში აუცილებელია როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის. გიმნაზია უზრუნველყოფს გიმნაზიაში არსებული

საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, ლეპტობები, პროექტორები და სხვ) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო;
- ✓ დამხმარე ლიტერატურა;
- ✓ საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
- ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები(რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ).

10.6. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

სკოლა-გიმნაზიის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. საბაზ საფეხურზე პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლებისას გამოიყენება ალტერნატიული სახელმძღვანელოები. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება ეროვნული

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს.

10.7. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. სკოლა-გიმნაზიის საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, გამომდინარე სკოლა-გიმნაზიის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმნათლებლო მომსახურების სახით გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს:

10.8. საღმრთო სჯულს დამატებით სავალდებულო საგნის სახით X-XIკლასებში.

№	საგანი	XI	XII
1	საღმრთო სჯული	2	2

თავი XI. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება საშუალო საფეხურზე

მუხლი 11. შეფასების სისტემა

11.1. შეფასების სისტემა, მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპი და ამოცანები საშუალო საფეხურზე

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის იდივიდუალური პროგრესის შესახებ. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

11.2. მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანებია:

ა)აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ)ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ)გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნას;

ე)აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე ცოდნის სხვადასხვა კომპონენტს ინტერაქტიულად და თანადროულად იყენებს.

შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- **სანდოობა** - როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;
- **ვალიდურობა** - როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
- **ობიექტურობა** - როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;
- **გამჭვირვალობა** - როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

11.3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

სკოლა-გიმნაზიაში **საშუალო საფეხურზე** გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- **განმავითარებელი შეფასება** ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.
- **განმსაზღვრელი შეფასება** ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

11.4. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევა ფასდება შეფასების 5 დონის გათვალისწინებით, 10 ქულიანი სისტემით



11.5. შეფასება საშუალო საფეხურზე

XI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

VII-IX კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, დამატებით სავალდებულო საგნებში: „საღმრთო სჯული“, მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. მოსწავლეები სემესტრის მანძილზე შეიძლება შეფასდნენ სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში იყენებს განმავითარებელ შეფასებას ნებისმიერ კომპონენტში. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (XI-XII კლასები);

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (XI-XII კლასები);

გ) შემაჯამებელი დავალება (XI-XII კლასები).

11.6. შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვთ

XI-XII კლასებში საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველეგასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.)

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. სასურველია, მასწავლებლებმა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალება, რომელიც უკავშირდება სკოლა-გიმნაზიის მიერ არჩეულ პრიორიტეტულ თემას: კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. თუკი მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.

მასწავლებელი ახორციელებს შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის. კომენტარში აღიწერება მოსწავლეთა მიღწევები სამიზნე ცნებებთან.

11.7. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი

ერთსა და იმავე კლასში, ერთიდაიგივე გაკვეთილზე ბავშვები ასრულებენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს და ისინი ფასდებიან შესაბამისი დონის მიხედვით.

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

შეფასების კომპონენტები ინფორმაციას იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანაა იმის ჩვენება

- როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის დამახსოვრებისა და ნასწავლი მასალის ურთიერთდაკავშირების პროცესი;
- როგორია მისი წინარე ცოდნა და წარმოდგენებიახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე;
- რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, დამოუკიდებლად შეფასებას;
- რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
- რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების შინაარსიან კონტექსტებში ჩვენებას.

მოტივაციას მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეების უნარი, შეაფასონ საკუთარი პროგრესი და რეგრესი.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებითაც მოსწავლეს შეუძლია ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და დროულად გამოყენება.

11.8. შეფასების მიზნები:

- მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთათვის სწავლის სწავლება;
- სწავლებისკონკრეტული მეთოდების ეფექტიანობის შემოწმება;
- სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა;
- მშობლების ჩართვა სწავლების პროცესში და მათთან კომუნიკაციის დამყარება;

- სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა მოსწრების შეფასება არის ხშირი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი.

თითოეული მოსწავლის კლასში მიმდინარე პროცესების აქტიური თანამონაწილეობის შესახებ დასკვნის მიზნით, სკოლა-გიმნაზია პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს, კერძოდ - ხომ არ იზღუდება მოსწავლის თანამონაწილეობის შესაძლებლობა, რა ხერხებითა და მეთოდებით ახდენს მასწავლებელი მოსწავლეზე დაკვირვებას, მასწავლებელი აანალიზებს თუ არა მოსწავლის ზეპირ პასუხებს, დისკუსიაში მონაწილეობას, წერის პროცესს, ნაწერს, განხორციელებულ პროექტებს, სავარჯიშოების შესრულებას და ა.შ. სწორი დასკვნისათვის - რამდენადაა მიახლოებული ან/და დაცილებული მოსწავლე შედეგის მიღწევის სასურველ დონეს.

სკოლა-გიმნაზიისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება, კერძოდ:

- ახალ სიტუაციებთან, ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი;
- დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების, კვლევის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები;
- საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარი;
- ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი;
- კომუნიკაციის უნარი;
- ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;
- პასუხისმგებლობის გააზრებისა და სხვათა ქმედების გაგება-გათვალისწინების უნარი;

სკოლა-გიმნაზიისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეს ვასწავლოთ საკუთარი მიღწევის შეაფასება არა მხოლოდ რომელიმე უნარის შეძენა, არამედ მისი გამოყენების კუთხით დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ბუნებრივ გარემოში სწავლა ზრდის მოზარდის მოტივაციას და სასწავლი საკითხების მიმართ, სადაც სასწავლო საკითხი თვალსაჩინოდ და რეალურად არის მოცემული - სასწავლო პროცესი უფრო წარმატებულია. სწავლა პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით უკეთეს წარმოდგენას ქმნის შესასწავლ საკითხზე, მის არსსა და გამკლავების შესაძლო გზებზე.

ინფორმაციის ვიზუალურად მიწოდება ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, ვინაიდან გარემოდან ინფორმაციის უმეტესი ნაწილი სტანდარტულად სწორედ მხედველობით აღიქმება.

მოსწავლის მოტივაციის შე

ნარჩუნებას ხელს შეუწყობს დროული და ადეკვატური შეფასება - მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე გაკეთებული უკუკავშირი, მნიშვნელოვანია ბავშვს შევუქოთ მისი მცდელობა, მიზანდასახულობა. სკოლა-გიმნაზიის პედაგოგები შეძლებენ ასწავლონ მოსწავლეებს საკუთარი ემოციების მართვა და განუვითარონ თვითმოტივაცია. რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ, ავამაღლოთ სწავლის შედეგები.

11.9. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

საშუალოსაფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა)**საგნის მიმდინარე საკლასო და შემაჯამებელი დავალებების ქულები,** რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ)**საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში ;

გ)**საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

დ)**საფეხურის ქულა** – საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.

11.10. საგნის ქულის გამოანგარიშების წესი

სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით;
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

11.11. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
- საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

11.12. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

- **საფეხურის ქულის** გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;
- **საფეხურის საერთო ქულა** მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

11.13. კლასისა და საფეხურის დაძლევა

- კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.;
- დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

11.14. გამოცდის ტიპები

გამოცდის ტიპები:

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა;

სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ამისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობითი მიმართავს სკოლა-გიმნაზიის რექტორს. რექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ

გამოცდაზე დაშვება–არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული;

- ✓ სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
- ✓ სკოლა-გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
- ✓ რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია;
- ✓ კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- ✓ დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
- ✓ გამოცდების ტიპი-წერითი, კომპლექსური შინაარსის დავალება;
- ✓ დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- ✓ სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

საშემოდგომო გამოცდა: კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5.0 და მეტი ქულა. მოსწავლე, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა, რომელიც წინასწარ შედგენილი და სასწავლო პროცესების მენეჯერის მიერ შეთანხმებულია რექტორთან. საშემოდგომო გამოცდების გრაფიკი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ხდება მისი განთავსება თვალსაჩინო ადგილზე. გრაფიკის შესაბამისად, სკოლა მოსწავლეს კონსულტაციებს გაუწევს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მოსაწავლეს, რომელსაც არ ექნება წლიური შეფასება, ენიშნება აუცილებელი დამატებითი გაკვეთილები ზაფხულის არდადეგებზე და საშემოდგომო გამოცდები აგვისტოს თვეში.

მოსწავლე, საშემოდგომო გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არ შეფასდება.

საშემოდგომო გამოცდის ნიშანი იძენს საგნის წლიური ნიშნის სტატუსს.

ექსტერნატის გამოცდა

სკოლა-გიმნაზიაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

11.15. მოსწავლეთა მხარდაჭერა

სკოლა-გიმნაზია მოსწავლეებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მოსწავლის აკადემიური პრობლემების არსებობის იდენტიფიცირებისას, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, მოსწავლე იღებს მხარდაჭერას სკოლა-გიმნაზიისგან. ამ მიზნით შექმნილია საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში იქმნება საკონსულტაციო ჯგუფი დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და ხარისხის სპეციალისტის შემადგენლობით. ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. პირველ ეტაპზე ჯგუფი იკვლევს მოსწავლის აკადემიური პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, შემდეგ დგინდება საჭიროებები, ინიშნება დამატებითი მეცადინეობები კონსულტირების ვადებისა და ფორმის მითითებით.

11.16. გაცდენები

მოსწავლეების დასწრების რეგულარული აღრიცხვა, მისი ანალიზი და პრობლემებზე რეაგირება სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

- მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში;
- გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე ელექტრონულ ჟურნალში, გაკვეთილის დაწყებიდან 5 წუთის განმავლობაში, პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი, ხოლო გაცდენების მონიტორინგზე კლასის დამრიგებელი.
- თუ საშუალო საფეხურზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე;
- კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

11.17. შინ სწავლება

- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;
- შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმის გამოყენება.

11.18. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- ✓ IX კლასის მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- ✓ ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით
- ✓ მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესის მნიშვნელობის შესახებ;
- ✓ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესის გააზრება უწყვეტი განათლების ჭრილში;
- ✓ მოსწავლეები აცნობიერებენ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობას მომავალი პროფესიის არჩევის დროს;
- ✓ ეცნობიან ქვეყანაში განათლების მიღების შესაძლებლობებს;
- ✓ იღებენ ინფორმაციას იმ საერთაშორისო დოკუმენტებისა და მიდგომების შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველო ხელმძღვანელობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების პროცესში. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიაში IX

კლასში, II სემესტრში, დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის 8 გაკვეთილი.

თავი XII. არაფორმალური განათლება

სკოლა-გიმნაზიაში არაფორმალური განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის მიღმა არსებული განათლებაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც მოსწავლეებს უჩნდებათ მოტივაცია იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით. არაფორმალური განათლება იძლევა არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ისეთ უნარებს, რაც ცხოვრების გზაზე მრავალმხრივ მნიშვნელოვანია (მაგალითად კომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითად აზროვნების უნარები და სხვა).

არაფორმალური განათლება ნაკლებად სტრუქტურირებულია ვიდრე ფორმალური განათლება, მაგრამ მაინც ორგანიზებულია გარკვეული მიზნებით. სკოლა-გიმნაზიაში არსებული არაფორმალური განათლება მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე.

არაფორმალური განათლება ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას. აახლოებს სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანებს, ასწავლის ემპათიას და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას. ეს გამოცდილება ხშირად უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი საკლასო გაკვეთილი. მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალურ განათლებას არ აქვს მკაცრი სტრუქტურა, მისი გავლენა ხშირად უფრო ხანგრძლივია. ის აძლევს ადამიანებს საშუალებას, აღმოაჩინონ და განავითარონ საკუთარი ინტერესები და ნიჭი. არაფორმალური განათლება არის არა კონკურენტი, არამედ მნიშვნელოვანი დამატება ფორმალური განათლებისთვის. ის ქმნის მთლიან სურათს, სადაც თეორია და პრაქტიკა, აკადემიური ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ერთმანეთს ავსებს, რაც საბოლოოდ ქმნის უფრო მრავალმხრივ და მომზადებულ ინდივიდს თანამედროვე გამოწვევებისთვის. არაფორმალური განათლება ხელს უწყობს ფორმალურ სასწავლო დაწესებულებაში - სკოლაში, შედეგების გაუმჯობესებასაც, ავითარებს რა ისეთ უნარებს, რაც ფორმალური საგანმანათლებლო სისტემისათვის მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. საკომუნიკაციო უნარები, შიდა მოტივატორების აღმოჩენა და მოტივაციის გაუმჯობესება, სხარტი აზროვნება, თვითორგანიზება, გუნდური მუშაობა და ბევრი სხვა მსგავსი უნარი წარმოადგენს დამხმარე საშუალებებს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში მოზარდის უკეთ ინტეგრაციისათვის.

სკოლა-გიმნაზია თანამშრომლობს სსიპ კოლეჯ ,,იბერიასთან“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრთან, სადაც მოსწავლეები გარკვეულ წარმატებებს აღწევენ. არაფორმალური განათლების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა წრეებს, კლუბურ მუშაობას, კერძოდ: გალობის წრეს, ინტელექტუალური კლუბი ,,რა? სად? როდის?“ მოსწავლეებს შეუძლიათ სურვილის მიხედვით აირჩიონ და ისარგებლონ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით. წრეობრივი მომსახურება ნებაყოფლობითი ფაკულტატურია, არასავალდებულო, რომელშიც შეფასება არ იწერება.

თავი XIII მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა

13.1. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა

სკოლა-გიმნაზია, მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, მუდმივად ზრუნავს მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების დანერგვისათვის.

სკოლა-გიმნაზია ცდილობს მოსწავლეს ასწავლოს მთავარი - მომავალში დამოუკიდებელი, წარმატებული ცხოვრება, ასწავლოს აზროვნება და ცოდნის დამოუკიდებლად მიღება, პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა რესურსების გამოყენება - მაგალითად ინტერნეტი, ცნობარი, კალკულატორი.

თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლების პრიორიტეტია მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი და აქტიური სწავლების (კვლევაზე და პროექტზე ორიენტირებული) მეთოდების გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პოპულარიზაციას, ადამიანის უფლებების სწავლებას და გააზრებას, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლებას, მოქალაქეობის და საბაზისო შრომითი უნარების განვითარებას. რაც აისახა კიდეც საათობრივ ბადეში საათების გაზრდით, ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის, წარმატებულ მოსწავლეთა (ასევე მასწავლებელთა) წახალისებისათვის იყენებს წახალისების სხვადასხვა სახის ფორმებს, კერძოდ:

- ✓ ეროვნულ ოლიმპიადაზე, ტურების მიხედვით დაწესებულია ფულადი ჯილდო როგორც მოსწავლისათვის, ისე მასწავლებლისათის;
- ✓ სასკოლო საზოგადოების შეკრების ადგილზე ხდება მადლობის გამოცხადება, დიპლომებისა და სიგელების გადაცემა;
- ✓ წარმატებული მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფისათვის, კლასისათვის სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიის დაფინანსება;
- ✓ თეატრალურ სპექტაკლებზე დასწრების დაფინანსება;
- ✓ შემოდგომის ფესტივალზე საუკეთესოდ წარმოდგენილი აქტივობებისათვის კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებზე განხორციელებული აქტივობებისათვის მოსწავლეთა, მასწავლებელთა, კლასის დამრიგებელთა წახალისება და სხვა სტრატეგიების გამოყენება;
- ✓ სკოლა-გიმნაზიაში, ყოველი სასწავლო წელს ხდება ავტორიზებული და აკრედიტებული უნივერსიტეტის საგნობრივი სპეციალისტების მოწვევა და საჯარო ლექციების დაგეგმვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდას და ეხმარება მომავალი პროფესიის არჩევაში.

თავი XIV - ინკლუზიური განათლება

მუხლი 14.1. ინკლუზიური განათლება

სკოლა-გიმნაზიაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის/ების განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით, გადაადგილებისათვის მოწყობილია შესასვლელი – პანდუსი, სამეცადინო და დასასვენებელი ოთახი, განათლების მისაღებად შექმნილია შესაბმისი გარემო ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების მართვის დებულება, რომელიც ერთვის სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციას.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

სკოლა-გიმნაზია, სასწავლო წლის დაწყებიდან, ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვრავს იმ მოსწავლის ან მოსწავლეთა სიას, რომლებიც მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით საჭიროებენ სწავლას. სსსმ მოსწავლის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში სკოლა-გიმნაზია ქმნის სამუშაო ჯგუფს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. გუნდში ერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, ან/და გავლილი აქვთ შესაბამისი მომომზადების ტრენინგები. აგრეთვე: მშობელი/მეურვე, ექიმი და სხვა დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს ზედამხედველობს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. სკოლა-გიმნაზია ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსსმ მულტიდისციპლინურ სამსახურთან და საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს.

მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) მოეწყობა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს. ყოველი სემესტრის ბოლოს მოეწყობა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა, ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და შენახულ იქნება მოსწავლის პირად საქმეში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, საჭიროების შემთხვევაში, ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლა-გიმნაზია შემუშავებული აქვს ისგ-ს ნიმუშები.

14.2 სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სასკოლო სასწავლო გეგმას ახლავს დანართის სახით და მისი შემადგენელი ნაწილია

საფეხური_____

საგანი _____

კლასი _____

მოსწავლე_____

დაბადების თარიღი_____ასაკი_____

მშობელი/მეურვე_____

მისამართი/ტელეფონი/ელ.ფოსტა_____

შეხვედრის თარიღი_____

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვადები_____დან _____ მდე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება_____

შეფასება _____

მონაწილეები _____

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
ძლიერი მხარეები		
პრობლემური სფეროები		
მიზეზები		

საჭიროებები		
წლიური მიზანი		
მოკლევადიანი მიზნები		
პრაქტიკული საკითხები		
პასუხისმგებელი პირები		

14.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა თან ერტვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

14.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში ერთვის დაწყებითი საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმას;

14.6. სკოლა-გიმნაზია, სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციებით და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამით.

შენიშვნა: მოსწავლისათვის გაცდენილი შემაჯამებელ დავალების აღუდგენა ხდება მოთხოვნის შემთხვევაში. **აღდგენის ვადაა 10 დღე,** ტესტის განსხვავებული ვარიანტით.

თავი XV ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

15.1. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სასკოლო სასწავლო გეგმას ახლავს დანართის სახით და მისი შემადგენელი ნაწილია

საფეხური_____
საგანი _____
კლასი _____
მოსწავლე_____
დაბადების თარიღი_____ასაკი_____
მშობელი/მეურვე_____
მისამართი/ტელეფონი/ელ.ფოსტა_____
შეხვედრის თარიღი_____
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვადები_____დან _____ მდე
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება_____
შეფასება _____
მონაწილეები _____

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
ძლიერი მხარეები		
პრობლემური სფეროები		
მიზეზები		
საჭიროებები		
წლიური მიზანი		
მოკლევადიანი მიზნები		
პრაქტიკული საკითხები		
პასუხისმგებელი პირები		

15.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას

თავი XVI

2025 -2026 სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასებისა და საგნების მიხედვით.

XI კლასი

N	საგანი	ავტორი	გამომცემლობა/წელი
1.	ქართული ენა და ლიტ.	ლ.თუშური, ნ.შარაშენიძე, ჯ.წიქარიშვილი, ე.დონაძე	,,დიოგენე''
2.	მათემატიკა	თ.ბექაური, ა.საგინაშვილი, გ. ბექაური	,,ბაკურ სულაკაური''/2012
3.	ისტორია	ნ.ახმეტელი, ბ.ლორთქიფანიძე, ა.თაბუკაშვილი	„ დიოგენე''
4.	გეოგრაფია	მ. ბლიაძე, ა. ჭანტურია	,,ბაკურ სულაკაური''/2012
5.	მოქალაქეობა	ს. ბაჩილავა, დ.ლოსაბერიძე	შ..პ.ს. ,,დიოგენე,,
6.	ბიოლოგია	ნ. ზაალიშვილი, ნ. იოსებაშვილი	,,ტრიასი''/2012
7.	ფიზიკა	ქ. ტატიშვილი	,,დიოგენე''/2010
8.	ქიმია	თ. ბუთხუზი, თ. ხატისაშვილი, ს. ფაცაცია	,,მაცნე''/2007
9.	I უცხოური ენა ინგლისური Tune Up! 2		შპს სულაკაურის გამომცემლობა
10.	II უცხოური ენა - რუსული	მ. ბარსეგოვა X კლასის სახელმძღვანელო	შ.პ.ს.,,ოცდამეერთე,,2020
11.	სპორტი	ლ. აფციაური, მ. ტუღუში	,,დიოგენე''/2012

გაყვითლებული მე-10 კლასისაა და თქვენი შეხედულებისა და შერჩეულის მიხედვით გადაიტანეთ მე-10 კლასთან საბაზო საფეხურზე

XI კლასი

N	საგანი	ავტორი	გამომცემლობა/წელი
1.	ქართული ენა და ლიტ.	ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ლ. დათაშვილი	,,სწავლანი''/2012
2.	მათემატიკა	გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია	,,ინტელექტი''
3.	ისტორია	ნ.ახმეტელი, ნ.ფირცხალავა, გ.აბდალაძე	„ დიოგენე''
4.	გეოგრაფია	მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია	,,ბაკურ სულაკაური''/2012
5.	ბიოლოგია	ნ.ზაალიშვილი	„ტრიასი“
6.	ფიზიკა	ქ. ტატიშვილი	,,დიოგენე''/2012
7.	ქიმია	ბუთხუზი,ფაცაცია,კუჭუხიძე	„საქართველოს მაცნე“2023
8.	I უცხოური ენა - ინგლისური Tune Up! 3		შპს სულაკაურის გამომცემლობა
9.	II უცხოური ენა - რუსული	მ. ბარსეგოვა X კლასის სახელმძღვანელო	
10.	სპორტი	ბ. იოსებაშვილი	,,ტრიასი''/2012

XII კლასი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

N	საგანი	ავტორი	გამომცემლობა/წელი
1.	ქართული ენა და ლიტ.	ნ.მუზაშვილი, ნ.ჩუბინიძე, ნ.შარაშენიძე	„ დიოგენე''
2.	მათემატიკა	გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია	,,ინტელექტი''
3.	ისტორია	ნ.ახმეტელი, ნ.ფირცხალავა, გ.აბდალაძე	„ დიოგენე''
4.	I უცხოური ენა -ინგლისური GATEWAY B1+	David Spencer	MACMILAN
5.	II უცხოური ენა - რუსული	მ. ლორთქიფანიძე; მ. ჩხეიძეს. ს.VII	,,არტანუჯი''/2012
6.	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	ნ. ტალახაძე	ეკონ.განათ.დაგანვ.ცენტრი ,,სიდი"/2012.
7.	სპორტი	ლ. აფციაური, მ. ტუღუში	,,დიოგენე''/2010

თავი XVII

XI-XII კლასებში 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვლი კლასებისა და საგნების მიხედვით

		საშუალო საფეხური	
	ქართული	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი'', ტომიVI	თ.შარაშენიძე;მ.მესხიშვილი მეცნ აკად.გამ-ბა, თბ.1960 წ.
	ქართული	სულხან-საბა ორბელიანის ,,ლექსიკონი ქართული'', ტომი I	გამომცემლობა ,,მერანი'' 1991
	ქართული	,,ქართული მწერლობა'' - ტომი I – II;	“”ნაკადული”1987
	ქართული	ქართული პოეზია, ტომი VIII;	“ნაკადული”1978წ
	ქართული	ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები;	გ.ალიბეგაშვილი, გამ-ბა ,,განათლება'' 1962წ.
	ქართული	ძველი ქართული პოეზია, ტომი I;	,,ნაკადული'' 1979 წ.
	ქართული	ქართული მწერლობა სკოლაში, I-IV ტომი;	გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე'' 2008 წ.
	ქართული	ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა;	,,განათლება'' 1974 წ.
	ქართული	სულხან-საბა ორბელიანის ,,თხზულებანი'';	ალ. ბარამიძე, ე.მეტრეველი; ,,საბჭოთა საქართველო''1962
	ქართული	სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები	ნ.გრიგალაშვილი, გამ-ბა ,,უნივერსალი'' 2004 წ.
	ქართული	მწერალთა ბიოგრაფიები	მ.გოგოლაძე-გაბუნია 2005წ.
	ქართული	სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონები;	
	ქართული	,,ქართულიენა''-ა.არაბული, ქ.რეხვიაშვილი, ნ.შარაშენიძე, მ. შაყელაშვილი	,,წყაროსთვალი''
XII	მათემატიკა	გ. გოგიშვილი; თ. ვეფხვაძე	,,ინტელექტი''2009
XI	საქ.ისტორია	მ. ვაჩნაძე; ვ. გურული	,,არტანუჯი''/2003წ
XI– XII	საღვთო სჯული	ლ. ბუკია	2009 წ.

XI– XII	ფიზიკა	1. გ. გედგენიძე; ე. ლაზარიშვილი ,,ამოცანათა კრებული''	,,ინტელექტი''/2007
XI– XII	ფიზიკა	აბიტური ფიზიკაში.ქ.ტატიშვილი	„დიოგენე“
		აბიტური ფიზიკაში.	ამც
X- XI	ფიზიკა	ამოცანათა კრებული.რინკევიჩი	„ განათლება“
XI– XII	ბიოლოგია	მ. სეხნიაშვილი	„კლიო“
XI	ბიოლოგია	ნ. ზაალიშვილი	„ტრიასი“
XI– XII	ქიმია	ანდრონიკაშვილი	„კლიო“
	ქიმია	მეტრეველი-დადიანიძე	„მერიდიანი“
	ქიმია	ადამი - ორგანული ქიმია, გაღრმავებული კურსი	„საქართველოს მაცნე“

თავი XVIII

2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალი კლასების, საფეხურისა და საგნების მიხედვით

XI– XII **კლასები**

სკოლა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, იყენებს სხვადასხვა დამხმარე სასწავლო საგანმანათლებლო რესურსებს საგნის/საგნებისა და საფეხურების გათვალისწინებით.

საშუალო საფეხური:

ქართული ენა და ლიტერატურა:

1. მწერლების და პოეტების პორტრეტები;
2. ინტერნეტი,ჭკვიანი დაფა და ფილმები;

მათემატიკა:

- ფარგალი;
- სახაზავი (სწორი, მართკუთხა 35^0, მართკუთხა 45^0);
- ტრანსპორტირი;
- პროექტორი;
- ჭკვიანი დაფა;
- კომპიუტერი;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

ისტორია

ისტორიული რუკები (დიდმასშტაბიანი)

- ძველი ეგვიპტე და შუამდინარეთი;
- ძველი სპარსეთის სახელმწიფო;
- ელინისტური სახელმწიფოები;
- რომისა და პართიის ომები; ძვ.წ. III-I სს–ში;
- არაბთა დაპყრობითი ომები VII-IX სს.
- ადრექრისტიანულიი საქართველო;

- საქართველო VII –VIIIსს;
- თურქ–სელჩუკთა და ჯვაროსანთა სახელმწიფოები;
- საქართველო XI-XII სს–ში;
- საქართველო მონღოლთა შემოსევის დროს;
- საქართველო IX – X სს – ში;
- საქართველო და სამხრეთი X IXს –ის II ნახ–ში;
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა1918–1921 წელი;

ისტორიული რუკები (მცირემასშტაბიანი)

- ქართველთა სამეფო და საკურაპალატო 888–1001წ;
- საქართველო და მსოფლიო XIII ს–ის დასაწყისში;
- ქართლის სერისმთავრო,არაბთა სახალიფო, ბიზანტია და ხაზარ სახაკანო VIII საუკუნის I ნახევარში;
- აფხაზთა სამეფო IX- X ს–ში;
- საქართველო 1920–1921 წლებში;
- საქართველო XVIII ს–ის II ნახევარში;
- ფინიკიური და ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ.XI -VIსს და ძველი ეგრისის სამეფო;
- საქართველო 1578– 1639 წწ;
- სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები ძვ. წ. IV- III ათასწლეულში;
- ქართული სახელმწიფოები, ბიზანტია და სპარსეთი V ის–ის შუა წლებში;
- ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა;

გეოგრაფია:

1. გლობუსი 2
2. რუკები:
   - ნახევარსფეროების რუკა;
   - რელიგიების რუკა;
   - კავკასიის რუკა;
   - საქართველოს ფიზიკური რუკა;
   - საქართველოს რეგიონების რუკა;
   - მსოფლიოს პოლიტიკური რუკა;
   - მსოფლიოს კლიმატური სარტყლების რუკა;
   - ევროპის პოლიტიკური რუკა;
   - ევროპის ფიზიკური რუკა;
   - ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბიოლოგია:

1. სინათლის მიკროსკოპი;
2. თვალსაჩინოებები:
   - გულსისხლძარღვთა სისტემა
   - სმენის ორგანო;
   - ნერვული სისტემა;
   - თავის ტვინის აგებულება;
   - მხედველობის ორგანო;
   - სახსრების აგებულება;

- სახსრები და მოძრაობა;
- სუნთქვის ორგანო;
- საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა;
- კანი;
- ფოთლის რბილობის განივი ჭრილი;

ქიმია:

1. პლაკატები:
   - პერიოდულისისტემისვრცელივარიანტი – 2;
   - წყალბადურიბმა;
   - ნაჯერი ნახშირწყალბადები;
   - უჯერი ნახშირწყალბადები;
   - ნივთიერებათა კრისტალური სტრუქტურები და აგრეგატული მდგომარეობები;
   - ელემენტთა წყალბადნაერთების თვისებები;
   - იონურიბმა;
   - ალდეჰიდები;
   - ატომის აღნაგობა,იზოტოპები,იზობარები;
   - კოვალენტურიბმა;
2. ქიმიური ჭურჭელი:
   - სინჯარები;
   - მენზურა;
   - სპირტნათურა;
   - მრგვალ ძირა და ერლენმეიერის კოლბა;
   - წკირი;
   - შტატივი;
   - ქიმიურიჭიქა.

ფიზიკა:

- ჭოჭონაქი;
- ურიკასაწვეთურით;
- კოლბები;
- მენზურა;
- ლინზა;
- სიმკვრივისცხრილი;
- ლაბორატორიული აჭურვილობა (იხ.დანართი);

უცხოური ენები:

- CD დისკები;
- ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა;
- თვალსაჩინოებები:
  ბარათი, სურათები;

ესთეტიკური აღზრდის კათედრა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:

- ცნობილი მხატვრების ალბომები სერიიდან ,, დიდი მხატვრები“;
- აუდიო მაგნიტოფონი - 2;
- სასწავლო მოსასმენი მასალა – (CD)-I-IV, II, VI, VII, VI I I, IX კლასები მ.ჩიკვაიძე;
- სავარჯიშო ლეიბი - 4; ბურთები; ბაგირი; ფრენბურთის ბადე; კალათბურთის კალათა;
- ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა.

თავი X IX - პედაგოგიური საბჭო

მუხლი 19.1 პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები, თავმჯდომარის არჩევის პროცედურები, სხდომის ჩატარების პროცედურები

,,გიმნაზიის" პედაგოგიური საბჭო არის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო. პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ სამჯერ. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას პედსაბჭოს წევრთა ერთი მესამედის ან/და რექტორისა მიერ ,,გიმნაზიის" საჭიროებიდან გამომდინარე. პედაგოგიურ საბჭოზე ხმის უფლებით სარგებლობს ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ მოწვეულები. პედაგოგიურ საბჭოზე დასწრებისა და მონაწილეობის მიღება შეუძლია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პედსაბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვს მათი წარმომადგენლის მოსმენა. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.

- პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომას წარმართავს პედაგოგიური საბჭოს მდივანი;
- პედაგოგიურ საბჭოს კომპეტენციის საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ პედსაბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
- პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა;
- პედაგოგიური საბჭოს მდივანი აირჩევა ხმათა **უმრავლესობით 3 წლის ვადით;**
- პედაგოგიური საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან ერთად ადგენს სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ჩატარებამდე ახდენს თვალსაჩინო ადგილზე განთავსებას;
- პედაგოგიური საბჭოს მდივანი სხდომის მიმდინარეობისას აკეთებს საოქმო ჩანაწერს;
- პედაგოგიური საბჭოს მდივანი ვალდებულია სხდომის დამთავრებიდან ათი დღის განმავლობაში დაასრულოს ოქმი და დაბეჭდილ ფორმატზე უზრუნველყოს ხელმოწერების დაფიქსირება.
- შეიმუშავოს და განიხილოს პედსაბჭოს სხდომაზე, რექტორის მონაწილეობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმა და უზრუნველყოს დასამტკიცებლად რექტორისათვის წარდგენა;
- საჭიროების შემთხვევაში, რექტორთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის;
- განიხილოს და დაამტკიცოს კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების სამუშაო გეგმები;
- პედსაბჭოს წევრებს გააცნოს ,,გიმნაზიის" შინაგანაწესი, დებულება, განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი გეგმები, პრევენციული ღონისძიებების გეგმა, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს რექტორი;

- სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად დაამტკიცოს სასწავლო მასალა/რეურსები, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხა.